დანართი №6

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნინო ვასაძე
წევრი:
თამარ დემეტრაშვილი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	204900107

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	თბილისი, ვაკე-საბურთალო, ს. ჩიქოვანის ქ. 26
საფოსტო ინდექსი	0160
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi195@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0322364990

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 23 მარტის MES 6 26 0000344732 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 23 მარტის MES 6 26 0000344732 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ - ქალაქ თბილისის №195 საჯარო სკოლაში (ს/კ: 204900107) გეგმიური მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე დოკუმენტაციის შესწავლის გზით. ექსპერტთა მიერ შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის "ა" პუნქტით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ექსპერტთა მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
800	480

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 22 აპრილის MES 4 26 0000466177 კორესპოდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია. დაწესებულება სრულად დაეთანხმა დასკვნის პროექტში ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ გარემოებებსა და შეფასებებს. შესაბამისად, საბოლოო დასკვაში ექსპერტთა შეფასებები უცვლელი დარჩა.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

შესაბამისობის რეკომენდაციები არ გაცემულა.

V. რჩევები

რჩევა არ გაცემულა.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი *(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე*

პირველი სტანდარტის ფარგლებში რეკომენდაციები წინა ვიზიტის ფარგლებში არ გაცემულა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის მისიაში მკაფიოდ იკვეთება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების ერთიანობა, ასევე ხაზგასმულია უსაფრთხო და დემოკრატიული საგანმანათლებლო გარემოს შექმნა, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს საკუთარი უნიკალური შესაძლებლობებისა და ინტერესების გამოვლენას, განვითარებას და საკუთარი პოტენციალის სრულად რეალიზებას. სკოლის ხედვაში წარმოდგენილია 2030 წლისთვის სასწავლო პროცესში ინტეგრირებული უახლესი ინოვაციური მეთოდების, ციფრული ტექნოლოგიებისა და პროფესიული მიმართულებების მეშვეობით ისეთი პირობების ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს მოსწავლეებში განავითაროს როგორც აკადემიური ცოდნა და კრიტიკული აზროვნება, ისე პრაქტიკული უნარები და პროფესიული კომპეტენციები, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა წარმატებულ ინტეგრაციას როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ შრომის ბაზარზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს სკოლის როლს, როგორც უსაფრთხო, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის. მისიაში ნათლად იკვეთება სკოლის ღირებულებითი საფუძვლები: უსაფრთხო და მზრუნველ გარემოზე აქცენტი, თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარება, დემოკრატიული, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობების ფორმირება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რომ აქცენტი კეთდება არა მხოლოდ აკადემიურ მიღწევებზე, არამედ პიროვნულ ზრდაზე, თვითგამოხატვასა და უნიკალური მახასიათებლების განვითარებაზე. ხედვა, თავის მხრივ, გრძელვადიან

პერსპექტივაში (2030 წლისთვის) ასახავს სკოლის განვითარების მიმართულებებს და აძლიერებს მისიით განსაზღვრულ პრიორიტეტებს. აქ ხაზგასმულია თვითრეალიზების შესაძლებლობა, პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება და განათლების საერთაშორისო კონტექსტში (გერმანიის საგანმანათლებლო სივრცესთან კავშირი) გააზრება, რაც სკოლას სოციო-კულტურულად გახსნილ და მრავალფეროვან გარემოდ წარმოაჩენს. დადებითად უნდა შეფასდეს, რომ სკოლა პოზიციონირებს როგორც საერთაშორისო პარტნიორული ქსელის ნაწილი (DSD, PASCH). **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც აღწერს მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების ძირითად ეტაპებს, პროცესზე პასუხისმგებელ პირსა და პროცესში ჩართულ მხარეებს. მეთოდოლოგიის მე-5 მუხლით რეგულირდება სტრატეგიული დაგეგმვისა და განვითარების პროცესში ჩართული მხარეები, კერძოდ: სკოლის დირექცია, სასკოლო საზოგადოება(სკოლისადმინისტრაცია, მასწავლებელი, მოსწავლე/მოსწავლეთა თვითმმართველობა, მშობელი); სამეურვეო საბჭო. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის 29 მარტის N2-46 ბრძანება სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ამსახველი დოკუმენტაცია, სასკოლო საზოგადოებასა და თემში კვლევის განხორციელების მიზნით, შექმნილი კითხვარები, მათი ანალიზი და შედეგები. სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით 2025-2026 სასწავლო წელს დაინერგა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. აქედან გამომდინარე, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით განხორციელდა შემდეგი პროცესები: სკოლაში ჩამოყალიბდა სკოლის ფილოსოფიის- მისიის, ხედვის, ღირებულებების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების რედაქტირებისთვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფი (ბრძანება N 60-03.06.2025). ჯგუფმა 2025 წლის 11 ივნისს შესაბამისი კვლევის განხორციელების შედეგად მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის-მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტი, რომელიც სასწავლო წლის დასაწყისში წარედგინა პედაგოგიურ საბჭოს განსახილველად. სკოლამ ჩამოაყალიბა განახლებული მისია, ხედვა, ღირებულებები. მისიის,

ხედვის, ღირებულებების დოკუმენტი, რომლის შემუშავების ეტაპებს განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მერვე მუხლი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მისია და ხედვა გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიაში (მუხლი მე-12) გაწერილია გაზიარების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების თანამონაწილეობას, პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინებას, უკუკავშირის ფორმებს. მეთოდოლოგიის დოკუმენტში წარმოდგენილია, თუ ვისთან უნდა იქნეს გაზიარებული კონკრეტული დოკუმენტები / პროცესები და გაზიარების რა აქტივობები და ელექტრონული საშუალებების გამოყენებაა თითოეულთან მიმართებით რეკომენდებული. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. სკოლა ახორციელებს ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სწავლებას სამივე საფეხურზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ ბრძანებით მინიჭებული აქვს საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსი. სკოლის სახელწოდებად განისაზღვრა: სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

- დირექტორის 2025 წლის 03 ივნისის N 60 ბრძანება სკოლის ფოლოსოფიაში და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 მარტის ბრძანება N2-46;
- მოსწავლეთა, მშობელთა და პედაგოგთა კითხვარები, მათი ანალიზისა და შედეგების ამსახველი დოკუმენტაცია;
- პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის მეორე მუხლი განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესთან დაკავშირებულ ძირითად პრინციპებს. აღნიშნულის თანახმად, სკოლა მაქსიმალურად ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა

მოლოდინებს. ამ მიზნით, ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში და/ან შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარება. მეხუთე მუხლის თანახმად, პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა მხარე, ხოლო მეშვიდე მუხლის შესაბამისად, სკოლა ატარებს საზოგადოების გამოკითხვას და მიღებულ უკუკავშირს ითვალისწინებს დაგეგმვის პროცესში. დოკუმენტის შესწავლის შედეგად იკვეთება, რომ აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინტერესებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებას სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეცხრე მუხლი არეგულირებს სტრატეგიული გეგმის შემუშავებასთან დაკავშირებულ საკითხებს. დაწესებულებამ წარმოადგინა როგორც 2023 წელს სტრატეგიული გეგმის შემუშავების დამადასტურებელი მტკიცებულებები, ისე 2025 წელს ცვლილებების განხორციელების დამადასტურებელი მტკიცებულებები, რაც თანხვედრაშია მეთოდოლოგიით განსაზღვრულ მექანიზმთან. კერძოდ, სკოლის დირექტორის 2025 წლის 03 ივნისის N 60 ბრძანებით სკოლის ფოლოსოფიაში და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზნით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი. როგორც დოკუმენტაციიდან იკვეთება სკოლამ პროფესიული პროგრამების დამატების მიზნით ჩაატარა სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და განახორციელა ინფორმაციის მოგროვება. სამუშაო ჯგუფის ოქმებით დასტურდება, რომ დაწესებულებამ გადაამუშავა და განაახლა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები და სტრატეგიული განვითარების გეგმა, რადგან სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სკოლისთვის პრიორიტეტული იყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება. სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო დოკუმენტის საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება. მეთოდოლოგიის თანახმად, სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წლის 13 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N1 ოქმით დამტკიცებულია 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელშიც ცვლილება განხორციელდა სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის N4 ოქმით. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. როგორც მისიიდან და

ხედვიდან იკვეთება, სკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად, სთავაზობს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ პროფესიულ, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს, რაც ხელს უწყობს კონკურენტუნარიანი კადრების ჩამოყალიბებასა და დასაქმებას. ამასთან, სკოლა არის PASCH-ის ქსელის პარტნიორი და გერმანული ენის დიპლომის (DSD) სკოლა, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციასა და გლობალური ხედვის განვითარებას. სკოლის სტრატეგიული გეგმა მოიცავს 7 სტრატეგიულ მიზანს და მიზნის მისაღწევად საჭირო ამოცანებს. აღნიშნული სტრატეგიული მიზნები თანხვედრაშია სკოლის მისიასთან, ხედვასა და ღირებულებებთან. კერძოდ, მეორე სტრატეგიული მიზანი -ორგანიზაციული განვითარება მოიცავს ამოცანას, რომლის თანახმადაც დაწესებულება გეგმავს პარტნიორი სასწავლებლების მოძიებას საზღვარგარეთ და გაცვლითი პროგრამების ორგანიზებას. მეშვიდე სტრატეგიული მიზანი მიემართება პროფესიული პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ასევე თანხვევდრაშია მისიასთან, ხედვასთან და ღირებულებებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023–2024, 2024–2025 და 2025–2026 წლების სამოქმედო გეგმები, რომლებიც მოიცავს 12-თვიან პერიოდს და სრულად ემთხვევა სასწავლო წელს. დოკუმენტაციის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმები მოიცავს როგორც სკოლის სტრატეგიულ მიზნებთან პირდაპირ დაკავშირებულ აქტივობებს, ისე ისეთ ღონისძიებებსაც, რომლებიც უშუალოდ არ გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან, თუმცა აუცილებელია დაწესებულების ფუნქციონირებისა და მიმდინარე საჭიროებების უზრუნველსაყოფად. მაგალითად, 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმის განახლებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან აქტივობებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიდგომა მიუთითებს, რომ სკოლა გეგმავს საქმიანობას როგორც გრძელვადიანი მიზნების, ისე მიმდინარე ოპერატიული საჭიროებების გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში სტრუქტურულად და შინაარსობრივად განსაზღვრულია სკოლის სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები. თითოეული აქტივობა დაკავშირებულია კონკრეტულ მიზანთან და უზრუნველყოფილია შესრულების გაზომვადი ინდიკატორებით, რაც ქმნის პროგრესის შეფასებისა და მონიტორინგის შესაძლებლობას. გეგმაში ასევე გათვალისწინებულია რეალისტური ვადები, რაც უზრუნველყოფს აქტივობების დროულ და თანმიმდევრულ განხორციელებას. მკაფიოდ არის განსაზღვრული პასუხისმგებელი პირები და/ან სტრუქტურული ერთეულები და აქტივობის განხორციელებისთვის საჭირო რესურსი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- დირექტორის 2025 წლის 03 ივნისის N 60 ბრძანება სკოლის ფოლოსოფიაში და სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ანალიზი;
- 2023 წლის 13 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N1 ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 08 სექტემბრის N4 ოქმი;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023–2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024–2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის სისტემას. მონიტორინგი მიზნად ისახავს სანდო ინფორმაციის მიღებას, სტრატეგიული მიზნების მიღწევის ხარისხისა და განხორციელებული გზების ეფექტიანობის შეფასებას. პროცესს ხელმძღვანელობს სამეურვეო საბჭო და იგი ეფუძნება დაკვირვებასა და ანგარიშგებას. სამოქმედო გეგმის საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამოოქმედო გეგმით განსაზღვრულ აქტივობებს ანიჭებენ შესრულების სტატუსს და/ან ამზადებენ წერილობით ანგარიშებს. ხოლო სტრატეგიული გეგმის შემუშავებიდან 3 და 7 წლის შემდგომ ხდება შესრულების შედეგების განხილვა. მიღებული მონაცემები მუშავდება და თითოეულ აქტივობას ენიჭება შესრულების სტატუსი და ხორციელდება შედეგების ანალიზი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის მექანიზმებს. სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიცავს 2023-2030 წლების პერიოდს. მეთოდოლოგიის შესაბამისად დაწესებულებას სტრატეგიული გეგმის განვითარების შუალედური მონიტორინგი უწევს 2026 წელს. ხოლო სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ახორციელებს ყოველწლიურად. მეთოდოლოგიის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორცილდება ანგარიშების საფუძველზე-პასუხისმგებელი პირების

მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე სამეურვეო საბჭო განსაზღვრავს სამოქმედო გეგმით დაგეგმილი აქტივობის შესრულების სტატუსს. დაწესებულებამ წარმოადგინა ბოლო ორი წლის -2023-2024, 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშები, რომელშიც ასახულია დაგეგმილი აქტივობების სტატუსი-რომელი აქტივობა შესრულდა სრულად, რომელი-ნაწილობრივ და რომელი არ შესრულებულა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლის მე-9 პუნქტის თანახმად, დაწესებულება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშების საჯაროობას უზრუნველყოფს ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის ვებგვერდი, რომელზეც განთავსებულია გასული წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის 2023 წლის 22 სექტემბრის N156 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მეთერთმეტე მუხლი აღწერს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის სისტემას. აღნიშნული მუხლის თანახმად, ანგარიშების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში. ასევე შედეგები სკოლას გამოყენებული აქვს მომდევნო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ თბილისის N195 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში;

- სკოლის დირექტორის ანგარიშები;
- მონიტორინგის განხორციელების ამსახველი მასალები;
- სკოლის ვებ-გვერდი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

23.04.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: